ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01191372075**
თარიღი: **17/05/2019**
პინი: **8816**

ადრესატი: რაულ ნიჟარაძე
პირადი ნომერი: 27001001234
მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. N 14 ,,ა", ბ. 22

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N19/01190601011-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკ. კოდი N01.11.12.015.193) 2017 წლის N3372465 (AR1499378) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის არღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

-3.10 და -620 ნიშნულებზე გაზრდილია ფართი და სართულის სიმაღლეები. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების რაოდენობა გაბარიტი და მდებარეობა. შეცვლილია ლიფტის კარის მდებარეობა. "ა" ღერძის გარეთ -3.10 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის მოპირკეთება. ნაწილობრივ შეცვლილია აივნებზე კაპიტალური ტიხრების განლაგების ადგილი. ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი. "ბ-გ" და "4-3" ღერძების გადაკვეთაზე შეცვლილია სავენტილაციოა შახტის მდებარეობა. +48.00 ნიშნულზე შეცვლილია ფილის ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია სავენტილაციო შახტების გაბარიტი.

"1-5"ფასადი:" +0.00 ნიშნულიდა +8.40 ნიშნულის ჩათვლით ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ვიაზუალი და რაოდენობა ასევე ნაწილობრივების შეცვლილია ღიობების გაბარიტი. "3" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო ხვრელი. +48.00 ნიშნულზე "3" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია ღიობი.

"ზ-ა/" ფასადი: "გ-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. "ა-ა/" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. "დ-გ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილილია საკომუნიკაციო ღიობი. +0.00 ნიშნლზე "ბ-ა" მონაკვეთში შEცვლილია ღიობის გაბარიტი.

"5-1"ფასადი: +4.20 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების გაბარიტი და რაოდენობა. +48.00 ნიშნულზე "3" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია ღიობი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი